თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი #1

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 19, სტუდენტები – 0, სულ – 20 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცება;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

2. თსუ ტურიზმის ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2015 წელს მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების დამტკიცება;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესის შესრულების შესახებ;
   /დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

5. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგში მოხდა ცვლილება - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ი. ნაცვლიშვილის მიერ დღის წესრიგს დაემატა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამებზე 2015-16 წწ. მიღებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდის ანკეტა-კითხვარის განხილვა-დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის №1 საბჭოს დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცება;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ძირითადი ნაწილი, რადგან ეს ანგარიში წინასწარ დაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. მან აღნიშნა, რომ ანგარიშის ფორმატი შემოთავაზებულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. 2014 წელს საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია ფაკულტეტის პროფესურამ და მათთან ერთად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმაც. 2014 წელს მოხდა ოთხი ახალი პროფესიული პროგრამის, ერთი ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის, ერთი სასერთიფიკატო ტრეინინგ-პროგრამის, არსებულ პროგრამებში ორი ახალი მოდულის და ახალი სასწავლო კურსების (სულ-100-ზე მეტი) სილაბუსის და ექვსი პროგრამის კონცეფციის განხილვა-შეფასება, კომენტარებისა და შენიშვნების მომზადება. ქ-მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიშში დეტალურად არის მოცემული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა აქტივობა.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი თ. ბერიძე - მან აღნიშნა, რომ როდესაც გაეცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014 წლის ანგარიშს, ის დარწმუნდა, რომ აღნიშნულმა სამსახურმა საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია. სასურველია მომავალში მსგავსი ანგარიშის წარმოდგენისას ყურადღება იქნას გამახვილებული შინაარსობრივ მხარეზე და არ იყოს ჩამონათვალი მხოლოდ დადგენილებების და პროგრამების სახით. მან აღნიშნა, რომ ყოველთვის არის რეზერვი მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ვინაიდან ამ სამსახურის მუშაობას აქვს

დიდი მნიშვნელობა ფაკულტეტისთვის, სასურველია 2-3 საკვანძო საკითხი ყოველთვის იყოს განხილული ასეთ ანგარიშებში.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი).

მოისმინეს: თსუ ტურიზმის ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2015 წლის გაზაფხულისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფ. მაია მარგველაშვილის წერილი (#315/29. 22.01.2015) აღნიშნული ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების თხოვნით. წარმოდგენილი ანკეტა კითხვარი მისაღები კონტიგენტის შესახებ წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ი. ანანიაშვილმა დასვა შეკითხვა: ეს კონტიგენტი აისახება თუ არა ჩვენს მისაღებ კონტიგენტზე?

ასოც. პროფ. ი.ნაცვლიშვილი - მან აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამებისთვის კონტიგენტი არის ცალკე, ეს არის უნივერსიტეტის კვოტა, რომელიც განსაზღვრულია 450 ადგილით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თსუ-ში აქვს ჰუმანიტარულ, მედიცინის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს.

როდესაც დამტკიცდა ტურიზმის პროფესიული პროგრამები და მოხდა მათი აკრედიტაცია თბილისის და ქუთაისისთვის, ხოლო რაც შეეხება ახალ პროგრამებს, ის წარმოდგენილია ქუთაისის სასწავლო ცენტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ინიცირებით. ის პროგრამა მხოლოდ ქუთაისში განხორციელდება.

ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილმა დასვა შეკითხვა: შეიძლება თუ არა, ამან გამოიწვიოს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები სტუდენტების რაოდენობის კორექტირება?

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - მან აღნიშნა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით 450 ეს არის ცალკე ავტორიზირებული და მიღებული ადგილები არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს აღნიშნული კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი)

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების დამტკიცება;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურში შევიდა ეკონომიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფ. ე. მექვაბიშვილის წერილი 433/29, 28.01.2015, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკის მიმართულების პროფესორთა კრებამ იმსჯელა ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის მიმართვაზე სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამაში არჩევით საგნად ,,ეკონომიკური დოქტრინების“ შეტანის თაობაზე და მხარი დაუჭირა აღნიშნულ წინადადებას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (2014-16 წწ.) მოდულში „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ მეორე (გაზაფხულის) სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით 5 კრედიტის მოცულობით დამატებულია სასწავლო კურსი „ეკონომიკური დოქტრინები“ (ავტ. პროფ. ა. სილაგაძე). აღნიშნულ ცვლილებას გავლილი აქვს ყველა პროცედურა ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისთვის. ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს სთხოვა აღნიშნული ცვლილების მხარდაჭერა.

აღნიშნულ საკითხზე აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში (2014-16 წწ.) და მოდულში „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ მეორე (გაზაფხულის) სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით 5 კრედიტის მოცულობით დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკური დოქტრინები“ (ავტორი პროფ. ა. სილაგაძე);
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესის შესრულების შესახებ.

/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქ–მა მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ რექტორის ბრძანებით 2014 წელს და ასევე 2015 წელსაც ცხადდება ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმი. რექტორის #226 ბრძანების შესაბამისად, ფორმუში მონაწილეთა განსაზღვრის წესის შესრულების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ფაკულტეტებს (ფაკულტეტის საბჭოებს) დაევალათ:

ა) ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსის გამოცხადება არაუგვიანეს 2015 წლის 30 იანვრისა;
ბ) ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობისათვის უფლებამოსილ პირთა მოხსენებების დადგენილი წესით მიღება 2015 წლის 27 თებერვლის ჩათვლით;

გ) ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმზე წარსადგენი მოხსენებები შეარჩიოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქ. მარშავამ დასვა შეკითხვა: ,,ეს საკითხი მხოლოდ სტუდენტებთან მიმართებაშია გათვალისწინებული?"

დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი - მან უპასუხა, რომ ამჯერად ეს საკითხი მსოლოდ სტუდენთებთან მიმართებაშია გათვალისწინებული და ითხოვს საბჭოზე განხილვას. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში სამეცნიერო ფორუმს, ფაკულტეტების შესაბამისად შექმნილია კომისიები, ხოლო საბუთების მიღება ხდება კანცელარიაში ბრძანების შესაბამისად.

დეკანი, ფაკულტეტის საბჭოს თაბმჯდომარე თ. ბერიძე - მან აღნიშნა, რომ 30.01.2015, 13:00 საათზე ამ საკითხთან დაკავშირებით იმართება შეხვედრა კომისიათან და შედეგები ყველასთვის იქნება ცნობილი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს აღნიშნული ვადები ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთათვის;
2. კონკურსის ჩატარების პირობები და შესაბამისი ინფორმაცია განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ–გვერდზე.

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ი. ნაცვლიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამებზე 2015-16 წწ. მიღებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდის ანკეტა-კითხვარის შესახებ.

ქ-მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულ ცენტრში 10 თებერვლისთვის უნდა იყოს წარდგენილი მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტი და საერთო სამაგისტრო გამოცდის ანკეტა-კითხვარი. მან საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ქალბატონ თ. ვეფხვაძის წერილი, რომელსაც თან ახლავს 2014-15 სასწავლო წლებისათვის მაგისტრატურაში მიღების გამოცხადების ანკეტა-კითხვარი და კონტიგენტის გადანაწილება ფაკულტეტებს შორის დანართის სახით. ასევე, თსუ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტთან კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ თუ 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის სტუდენტთა გარე მობილობა არ გამოცხადდება, მაშინ შესაძლებელი იქნება კონტიგენტის შარშანდელი ციფრის და გადანაწილების გამეორება, რომელზედაც შარშან მოხდა შეთანხმება და რომელიც წარმოდგენილია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მოწედებულ ანკეტა-კითხვარში.

აზრი გამოთქვეს:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფ. თ ბერიძემ - მან აღნიშნა, რომ თუ ამ საკითხთან დაკავშირებით იქნება შენიშვნები, მაშინ მასზე გაგრძელდება მუშაობა, ხოლო დამტკიცება მოხდება საბჭოს სხდომაზე, რომლის მოწვევაც გახდება საჭირო უახლოეს დღეებში. რათა დამტკიცებული ანკეტა-კითხვარი დროულად გაეგზავნოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

დეკანის მოადგილემ, ასოც. პროფ. მ. ჩალეიშვილმა - მან აღნიშნა, რომ თუ გარე მობილობა არ გამოცხადდება, ამ ეტაპზე ეს ალბათ უკეთესია, მაგრამ არის ერთი პრობლემა: თუ ფაკულტეტი უარს იტყვის გარე მობილობაზე და სხვა ფაკულტეტები ამას არ გააკეთებენ, ფაკულტეტი საბოლოოდ მაინც ზარალდება. საჭიროა კარგად გავერკვიოთ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ სხვა ფაკულტეტები.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა - მან აღნიშნა, რომ ქ-ნ მ. მარგველაშვილისგან მიღებული წერილის შემდეგ მან მივმართე ქ-ნ თამარ ვეფხვაძეს შეკითხვით: არის თუ არა კვოტები შეთანხმებული? მივიღე პასუხი, რომ კონტიგენტის საკითხს წყვეტს პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის საბჭო.

პროფ. ე. მექვაბიშვილმა - მან აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს შეთანხმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომ არ დაზარალდეს მუდმივად ერთი და იგივე ფაკულტეტი.

პროფ. ნ. თოდუა - მან აღნიშნა, რომ უმჯობესია ახლა განვსაზღვროთ, გვინდა თუ არა მობილობა და გარანტირებული ადგილები გვქონდეს და ვიცოდეთ, რამდენს ვიღებთ. დავტოვოთ შარშანდელი ვარიანტი მობილობის გარეშე.

პროფ. ქ. მარშავამ - მან აღნიშნა, რომ თუ მობილობას არ გამოვაცხადებთ, ჩვენთან არავინ გადმოვა, მაგრამ ჩვენი მაგისტრანტები შესაძლოა გადავიდნენ სხვა ფაკულტეტებზე. თუმცა ეს არ ქმნის პრობლემას. ჩვენთვის არ არის მნიშვნელოვანი ის, რომ გვყავდეს მეტი სტუდენტი მაგისტრატურაში, რადგან ეს ხელფასებზე ასახვას არ პოულობს. ჩვენი კონტიგენტის გაზრდა და შესაბამისად ჩვენი ფაკულტეტის შემოსავლების გაზრდა აისახა ფაკულტეტის ხარჯვით ნაწილზე? მაშინ რატომ უნდა გვინდოდეს მეტი მაგისტრანტი სტუდენტი? ახალი რეგულაციით მაგისტრატურაში 1 სტუდენტზეც შესაძლებელია ჯგუფის გახსნა. შემოსავლების ზრდა კონტიგენტის ზრდით არ ისახება არც ჩვენს ინფრასტრუქტურაზე და არც შემოსავლებზე.

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ - მან აღნიშნა, რომ ჩვენთან არ არის სწორი დამკვიდრებული პრაქტიკა მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით. საგანი ,,ეკონომიკის პრინციპები", რომელიც ბარდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე, ისწავლება ბაკალავრიატის პირველ წელს. შემდგომ ისწავლება სპეციალობის საგნები, ხდება პრაქტიკის და დიპლომის დაცვა. როდესაც მაგისტრატურაში მიდის სტუდენტი, მას უნდა ჰქონდეს სპეციალობის საგნებში გარკვეული ცოდნა. ამიტომ საჭიროა მაგისტრატურის მისაღები გამოცდები ჩატარდეს სპეციალობის საგნებში და არა ,,ეკონომიკის პრინციპებში," ანდა საერთოდ გაუქმდეს მისაღები გამოცდა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფ. თ ბერიძემ - მან აღნიშნა, რომ დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგი არ ითვალისწინებს ამ საკითხის განხილვას. ეს საკითხი საყურადღებოა და მას ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. გამომსვლელებმა მხარი დაუჭირეს 2015-16 წლის ანკეტა კითხვარისთვის კონტიგენტის წინა წლის რაოდენობის და პროგრამებს შორის გადანაწილების უცვლელად შენარჩუნებას.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: მიღებულ იქნას 2015-2016 სასწავლო წლის მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტი და საერთო სამაგისტრო გამოცდის ანკეტა-კითხვარის წარმოდგენილი ვარიანტი წინა წლის უცვლელი რაოდენობების და პროგრამებს შორის გადანაწილების მიხედვით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2015-2016 სასწავლო წლის მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტი (სულ: 405 ადგილი) და საერთო სამაგისტრო გამოცდის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი).

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე **თ. ბერიძე**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი **მ. ნაცვალაძე**